საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-184

09/02/2021

ქ. თბილისი

„შპს „იბეროილი“-ს ნავთობპროდუქტების საცავების (6050 m^3 მოცულობის ნავთობბაზა) მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 13 ოქტომბრის №ი-522 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2020 წლის 30 დეკემბერს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „იბეროილის“ დირექტორმა და ითხოვა 2016 წლის 12 ოქტომბრის №48 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2016 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „იბეროილის“ ნავთობპროდუქტების საცავების (6050 m^3 მოცულობის ნავთობბაზა) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე (ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. №14) გაიცა №48 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (12.10.2016).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანიას დაგეგმილი საქმიანობა არ დაუწყია, არ განუხორციელებია ნავთობპროდუქტების საცავების სამშენებლო სამუშაოები და მას არც მომავალში გეგმავს. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „იბეროილის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „იბეროილი“-ს ნავთობპროდუქტების საცავების (6050 m^3 მოცულობის ნავთობბაზა) მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 13 ოქტომბრის №ი-522 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „იბეროილს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იბეროილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი